

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

„ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება“

წესდება

თბილისი

2017

მუხლი 1

ზოგადი დებულებანი

- 1.1. „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება“ წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.
- 1.2. სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მენარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
- 1.3. საზოგადოების სახელწოდება: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება“
- 1.4. სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
- 1.5. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N1-3.
- 1.6. საზოგადოების ელექტრონული ფოსტის მისამართი: tsusociety@tsu.ge
- 1.7. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ვალდებულებებისათვის მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებს. ასევე არ აგებს პასუხს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის.
- 1.8. საზოგადოების საქმიანობის მიზნები:
 - 1.8.1. სსიპ - ივანე ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან კომუნიკაცია;
 - 1.8.2. ფონდების (სახსრების) მოძიება უნივერსიტეტის განვითარებისათვის.
- 1.9. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული

პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

1.10. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

მუხლი 2

საზოგადოების დამფუძნებლები

2.1. საზოგადოების დამფუძნებელია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მის.: საქართველო, ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N1-3, საიდენტიფიკაციო ნომერი 204864548, წარმომადგენელი - რექტორი გიორგი შარვაშიძე

მუხლი 3

საზოგადოების მართვა

3.1. საზოგადოების უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს საზოგადოების გამგეობა, რომელიც შედგება არანაკლებ 20 და არაუმეტეს 25 წევრისაგან, რასაც წერილობითი გადაწყვეტილებით განსაზღვრავს დამფუძნებელი;

3.2. საზოგადოების გამგეობა მოიწვევა 6 თვეში არანაკლებ ერთხელ მაინც, გამგეობის წევრთა ნახევარზე მეტის ან საზოგადოების თავმჯდომარის ინიციატივით. გამგეობა უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმის გადაცემა დაუშვებელია.

3.3 გამგეობა:

3.3.1. იღებს საზოგადოების წესდებებს და ცვლილებები შეაქვს მასში;

- 3.3.2. ხმათა უმრავლესობით ირჩევს და ათავისუფლებს საზოგადოების თავმჯდომარეს (საზოგადოების პირველ თავმჯდომარეს ნიშნავს დამფუძნებელი);
- 3.3.3. ისმენს თავმჯდომარის ფინანსურ ანგარიშს და ანგარიშს საზოგადოების საქმიანობის შესახებ;
- 3.3.4. ამტკიცებს საზოგადოების თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ საზოგადოების საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს;
- 3.3.5. იღებს გადაწყვეტილებას საზოგადოების რეორგანიზაციის შესახებ;
- 3.3.6. იღებს გადაწყვეტილებას საზოგადოების თვითლიკვიდაციის შესახებ;

მუხლი 4

საზოგადოების ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

4.1. საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოა საზოგადოების თავმჯდომარე.

4.2. თავმჯდომარე:

- 4.2.1. საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებას ახორციელებს საზოგადოების თავმჯდომარე, რომელსაც საზოგადოების მიზნების მიღწევაში ეხმარებიან აღმასრულებელი დირექტორი და ფინანსური მენეჯერი. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობებს ასრულებს აღმასრულებელი დირექტორი;
- 4.2.2. თავმჯდომარეს 3 წლის ვადით ირჩევს გამგეობა (საზოგადოების პირველ თავმჯდომარეს, აღმასრულებელ დირექტორს, ადმინისტრაციულ მენეჯერსა და ფინანსურ მენეჯერს ნიშნავს დამფუძნებელი);
- 4.2.3. თავმჯდომარედ ერთი და იგივე პირი არ შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ ორზე მეტი ვადით;
- 4.2.4. თავმჯდომარის კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს გამგეობის წევრს;
- 4.2.5. ახლადარჩეული თავმჯდომარე საერთო გამგეობის წინაშე ასახელებს აღმასრულებელი დირექტორის, ადმინისტრაციული მენეჯერისა და ფინანსური მენეჯერის კანდიდატურებს;

4.2.6. თავმჯდომარის, აღმასრულებელი დირექტორის, ადმინისტრაციული მენეჯერისა და ფინანსური მენეჯერის უფლებამოსილება იწყება არჩევის მომენტიდან და გრძელდება ახალი თავმჯდომარის არჩევამდე.

4.3. თავმჯდომარის უფლება-მოვალეობანი:

4.3.1. წარმართავს საზოგადოების საქმიანობას სანესდებო მიზნების მისაღწევად;

4.3.2. წარმოადგენს საზოგადოებას სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ასევე სხვა მესამე პირებთან ურთიერთობაში;

4.3.3. წყვეტს საზოგადოების კონკრეტული მიზნით შექმნილ კოალიციებში გაერთიანების საკითხს საერთო გამგეობის თანხმობით;

4.3.4. ზედამხედველობს საზოგადოების ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების მართვას;

4.3.5. ხელს აწერს საზოგადოების ოფიციალურ დოკუმენტებს;

4.3.6. გამგეობას დასამტკიცებლად წარუდგენს საზოგადოების ორგანიზაციულ სტრუქტურას;

4.3.7. ასრულებს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

4.4 თავმჯდომარე, 4.3.4. მუხლში აღნიშნულ საკითხთან, ასევე იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება საზოგადოების ფულადი სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების განკარგვას, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას, ახორციელებს გამგეობასთან შეთანხმებით;

4.5 თავმჯდომარის უფლებამოსილება შეწყდება:

4.5.1 პირადი განცხადების საფუძველზე;

4.5.2 წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების ან საზოგადოების სანესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის;

4.5.3 თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების ან საზოგადოების სანესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის შეუძლია მხოლოდ

გამგეობას. ასეთ შემთხვევაში გამგეობა ერთი თვის ვადაში ირჩევს ახალ თავმჯდომარეს დარჩენილი ვადით.

- 4.5.4 თავმჯდომარის გადადგომის შემთხვევაში ახალი თავმჯდომარის არჩევამდე თავმჯდომარის ფუნქციებს ასრულებს აღმასრულებელი დირექტორი;
- 4.5.5 თავმჯდომარე, აღმასრულებელი დირექტორი, ადმინისტრაციული მენეჯერი და ფინანსური მენეჯერი საზოგადოების საქმეებს უნდა უძღვებოდნენ კეთილსინდისიერად. ისინი საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებენ პირადად საზოგადოების წინაშე.

მუხლი 5

დამფუძნებელთა/წევრთა უფლებები და მოვალეობები

5. საზოგადოების დამფუძნებელი:

- 5.1. საზოგადოების უმაღლესი მმართველობითი ორგანოა საზოგადოების დამფუძნებელი;
- 5.2. დამფუძნებელი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები საკუთარი ინიციატივით, ან გამგეობის წარდგინების გათვალისწინებით.
- 5.3. დამფუძნებელი უფლებამოსილია:
 - 5.3.1 შექმნას გამგეობა;
 - 5.3.2 შეიტანოს ცვლილებები გამგეობის როგორც რაოდენობრივ, ასევე სახელობით შემადგენლობაში (შეცვალოს გამგეობის წევრები);
 - 5.3.3 მოითხოვოს და მოისმინოს ანგარიში საზოგადოების საქმიანობის შესახებ;
 - 5.3.4 გამგეობის ინფორმირებით ან ასეთი ინფორმირების გარეშე მოახდინოს საზოგადოების საქმიანობის კანონმდებლობასთან და მოქმედ სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობის შემოწმება;
 - 5.3.5 დანიშნოს საზოგადოების პირველი თავმჯდომარე, აღმასრულებელი დირექტორი, ადმინისტრაციული მენეჯერი და ფინანსური მენეჯერი.

მუხლი 6

საზოგადოების წევრობა

6.1. საზოგადოების წევრი შეიძლება გახდეს უნივერსიტეტის კურსდამთავრებული პირი. ასევე ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც იზიარებს საზოგადოების მიზნებს და რომელსაც სურვილი აქვს მხარი დაუჭიროს უნივერსიტეტს, იზრუნოს უნივერსიტეტის განვითარებაზე, მის პოპულარიზაციაზე.

6.2. წევრობის მსურველმა საზოგადოების თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს წერილობითი განცხადება საზოგადოებაში განწევრიანების თაობაზე. პირის წევრად მიღების საკითხს წყვეტს საზოგადოების თავმჯდომარე განცხადების მიღებიდან 2 კვირის ვადაში.

6.3. წევრს უფლებამოსილება უწყდება:

6.3.1. საკუთარი განცხადების საფუძველზე;

6.3.2. სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი ქმედუუნაროდ ცნობისას;

6.3.3. გარდაცვალებისას;

6.3.4. გამგეობის მიერ საზოგადოებიდან გარიცხვის ან უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში.

6.4. წევრი, რომელიც სისტემატურად არღვევს წესდებით დადგენილ მოთხოვნებს, არ ასრულებს საზოგადოების ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებებს ან ჩაიდენს კანონსაწინააღმდეგო, საზოგადოების სახელისა და ღირსების შემლახავ ქმედებას, საზოგადოების წესდების მიზნების საწინააღმდეგო ქმედებას, გამგეობის გადაწყვეტილებით შეიძლება გაირიცხოს საზოგადოებიდან.

6.5. საზოგადოების წევრს უფლება აქვს:

6.5.1. მიიღოს ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ;

6.5.2. მონაწილეობა მიიღოს გამგეობის სხდომებში;

6.5.3. დადგენილი წესით ისარგებლოს საზოგადოების კუთვნილი ქონებით;

6.5.4. თავმჯდომარეს წარუდგინოს მოსაზრებები საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებით;

6.5.5. საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიზნითა და დანიშნულებით ისარგებლოს უნივერსიტეტის რესურსებით (მაგ: ბიბლიოთეკა, ელ. საბიბლიოთეკო ბაზები და სხვა);

- 6.5.6. მიიღოს სრული ინფორმაცია უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი ღონისძიებებისა და პროექტების თაობაზე და მიიღოს მასში მონაწილეობა;
- 6.6. საზოგადოების წევრი ვალდებულია:
- 6.6.1. დაიცვას საზოგადოების წესდება, შინაგანაწესი და მმართველი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;
 - 6.6.2. გაუფრთხილდეს საზოგადოების ღირსებას, ავტორიტეტსა და ქონებას;
 - 6.6.3. გადაიხადოს საწევრო შენატანი ყოველწლიურად 100 (ასი) ლარის ოდენობით.
- 6.7. წევრის ძირითადი ფუნქციაა საზოგადოებისათვის დაფინანსების მოზიდვაში ხელშეწყობა.
- 6.8. წევრს საჩუქრად გადაეცემა სერტიფიკატი და უნივერსიტეტის სამკერდე ნიშანი. ასევე უმზადდება წევრობის ბარათი და ელექტრონული ფოსტა უნივერსიტეტის დომენით;
- 6.9. გამგეობის ყველა წევრი არის საზოგადოების წევრი.

მუხლი 7

საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

- 7. საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტა:**
- 7.1. საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტა (გაუქმება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:
- 7.1.1. დამფუძნებლის გადაწყვეტილებით;
 - 7.1.2. კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.
- 7.2. საზოგადოების ლიკვიდაციას ახორციელებს თავმჯდომარე, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი;
- 7.3. ლიკვიდაციის დამთავრების შემდეგ დარჩენილი ქონება გადაეცემა დამფუძნებელს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 7.4. გამგეობის წევრთა ჩამონათვალი და საზოგადოების ხელმძღვანელთა სია წარმოადგენს წესდების განუყოფელ ნაწილს.

- 7.5. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გადაეცემა დამფუძნებელს.
- 7.6. დამფუძნებლის გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მენარმეთა და არასამენარმეთო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.
- 7.7. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება ხდება დამფუძნებლის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 7.8. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.
- 7.9. თუ საზოგადოების დამფუძნებელმა არ განსაზღვრა ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო საზოგადოების ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამენარმეთო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორც ამ საზოგადოებას. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.
- 7.10. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

მუხლი 8

დასკვნითი დებულებები

- 8.1. წინამდებარე წესდება (დამფუძნებლის გადაწყვეტილება) ძალაში შედის ყველა ხელმოწერის მომენტიდან.

- 8.2. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.
- 8.3 ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.